შპს „ტელეკომპანია კავკასიის“, შპს “ტელეკომპანია თბილისის“, თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების შეთავაზების წინადადება

(მ ო წ ვ ე ვ ი ს ო ფ ე რ ტ ა)

ქ. თბილისი

2018 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზირებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი").

თბილისის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის" თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურების ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1.1 მომსახურება იწარმოება DVBT2 (EN302755) სტანდარტით და მონაცემთა შეკუმშვის MPEG4 (H-264-ISO/IEC 14496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T2 COFDM პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 33.1 მგბტ/წმ. ხოლო - SD არხის გავრცელების სიჩქარე არა ნაკლებ 2.15 მგბტ/წმ-ისა;

1.2 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან მომსახურების მიწოდების მისამართია: ქ. თბილისი, მთაწმინდის მთაზე არსებული საქართველოს ტელერადიოცენტრის კუთვნილი ანძა.

აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობაა: სერიული ციფრული ინტერფეისი (SDI) BNC-პაპა შესართით - სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფები

2.1 თბილისის ზონაში ღია ეთერით 1მგბ/წმ-ით გავრცელებისთვის თვეში გადასახადი შეადგენს 2089 (ორი ათას ოთხმოცდაცხრა) ლარს დღგ-ს გარეშე;

2.2 თბილისის ზონაში ღია ეთერით 1 SD არხის გავრცელებისათვის თვეში გადასახადი შეადგენს 4491 (ოთხი ათას ოთხას ოთხმოცდათერთმეტი) ლარს დღგ-ს გარეშე;

2.3 თბილისის ზონაში ღია ეთერით 1 HD არხის გავრცელებისათვის თვეში გადასახადი შეადგენს 16712 (თექვსმეტი ათას შვიდას თორმეტი) ლარს დღგ-ს გარეშე;

3. „ოფერენტის" კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები

3.1 „აქცეპტანტი" ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

4. ოფერტის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 21 ივნისიდან და მოქმედებს ერთი წლის ვადით - 2019 წლის 21 ივნისამდე.

30.07.2018